№ 104 მაისი 28, ხუთშაბათი 1887 მაისი 28, ხუთშაბათი № 104

გაზეთის ფასი

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-მუხრანის ქუჩაზედ, სახ. № 9, ბ. ზიდლიცის სავაჭროს, ცენტრალურს და გრიგორიევის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერიის" პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 27 მაისი

საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. იმისთანა ადგილს, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, სადაც ჰავა, ამინდი ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს გარედ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწათ-მოქმედსა და დიდს ზიანს აძლევდეს. ეს ნაკლი ისე საგრძნობელი არ არის მუშა საქონლის გამოკვებისათვის, თუმცა აქაც-კი მიზეზად ედება მრავალს დავიდარაბას, ჩხუბსა და ვაი-ვაგლახსა. მუშა საქონელი, რომელიც ყოველ-დღე ხელში უჭირს მიწათ-მოქმედსა, შინვე სოფელში ისე თუ ასე იკვებება. ამისათვის ზამთარ-ზაფხულს სოფლის თავისუფალი მიწებია და ამ მიწებზედ საქონელი იოლად მიდის. გაჭირების დროს საქონლის პატრონები ტყესაც არა ჰზოგვენ ხოლმე და თუ ზამთარი მეტად გაუძნელდათ და საჭმელზედაც ნაკლებ არიან, ნეკერს უკაფვენ და ისე გამოჰკვებავთ პირუტყვს. ეს მეტის-მეტად მავნებელი ჩვეულება ტყეს ძალიან აზარალებს და ამიტომაც ამ ბოლოს ხანებში ნეკერს აღარავინ აჭრევინებს ტყეში. ამ მხრით როგორც სახელმწიფო ტყეები, ისეც საბატონონი შეკრულია ნამეტნავად იმ ადგილებში, სადაც მებატონე დღევანდელს კვერცხს ხვალინდელ ქათამს არ ამჯობინებს და იმ განძს, რომელსაც ტყე წარმოადგენს, ხვალინდელ დღისათვის ინახავს და უფრთხილდება. ასეა თუ ისე მუშა საქონელი და ორიოდე მოცალდი ზამთარ-ზაფხულს შინვე გამოდის მით უფრო, რომ საზამთროდ პატრონი, ცოტაა თუ ბევრი, საჭმელს ზაფხულშივე უგროვებს და საზამთროდ უნახავს.

საძოვრების მოუწყობლობა სრულად ხელს უშლის დიდის საქონლის პატრონებს, ვისაც ცხვარი, ძროხა, ცხენის ჯოგი ჰყავს და ვინც, ერთის სიტყვით, საქონლის მოშენებას და გამრავლებას მისდევს. ამისთანანი ჩვენში ბევრნი არიან და ზოგიერთგან იმისთანა გლეხობაა, რომ მარტო საქონლის მოშენებადა აქვთ ცხოვრების წყაროდ. ამ დიდ-ძალ საქონლის მოსატრიალებლად ჩვენებურს სოფელს საკმაო ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარედ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით. რადგანაც ამისთანა საქონელს დიდ-ძალი საჭმელი უნდება გამოსაკვებავად და სათიბის უქონლობის გამოჯამ საჭმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარედ ჰკვებოს საქონელი, ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა მოსვლაში დიდ-ძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის სად რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძლვეს.

დაიძვრის თუ არა, მაგალითად, ქიზიყიდამ საქონელი და წამოვა თრიალეთისაკენ, ჯერ რამდენი ცალკე მეპატრონეთა მამულები უნდა გადმოლახოს. ყველა თავისას ითხოვს და ყველას თვითვეულად გაძლოდა უნდა გზა-და-გზა სხვა-და-სხვა ზომით და სხვა-და-სხვა ნაირად. ვინც იცის რამდენ ნაჭრად დაყოფილია ხოლმე ერთ პატარა მანძილზედ მამულები მონაწილეთა შორის, ის ადვილად მიხვდება, რა წეწა-გლეჯაში უნდა იყვნენ საქონლის პატრონები, როცა ან გაზაფხულზე იალაღზედ მიდიან, ან შემოდგომაზედ—ზამთრის საძოვრებზედ. ახლა ამას ზედ დაართეთ ხიდებზედ გასატარებელი ბაჟი, გზა-ტკეცილისათვის დაწესებული გადასახადი, საძოვრის სახდელი ფული, რომელიც ყოველს წელს ჰმატულობს და მაშინ წარმოიდგენთ, რომ ჩვენში მოსაშენ საქონლის ყოლა და შენახვა უფრო სახელისათვის არის, ვიდრე სახრავისათვის. აი ეხლა დადგა თუ არა გაზაფხული და საქონელიც დაიძრა ბარიდამ მთაში წასასვლელად იალაღებზედ, აუარებელი ჩივილი და დრტვინვა მოისმის მწყემსთაგან: არ იციან საწყლებმა როგორ გაუძლვენ ცალკე გზა-ტკეცილის, ცალკე ხიდეების ბაჟსა და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებსა, რომელნიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით, იმას ართმევენ. წართმევა ხომ წართმევაა და ზედ ერთვის ჩხუბი, ცემატყეპა და ზოგჯერ იარაღის ხმარებამდინაც მიაღწევს ხოლმე საქმე. ამისთანა ყოფა შეუწყნარებელია და ბოლო უნდა მოელოს.

დიდად საჭიროა, რომ კანონმდებლობამ ამ უნუგეშო ყოფას საქონლის პატრონებისას ყურადღება მიაქციოს, წესი და რიგი რამ ჩამოაგდოს, თორემ ეს კარგა მოზდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვრებისა თან-და-თან უკან დაიწევს და გაშრობამდე მივა. თქმა არ უნდა, რომ დიდად ძნელი რამ არის ერთს განსაზღრულს წესს დაუქვემდებაროს აქ კაცმა საქმე, მაგრამ რაც შესაძლოა, ის კი უსათუოდ უნდა მოხდეს და დადგინებულ იქმნას. ჩვენის ფიქრით, დიდი შეღავათი იქნება საქონლის პატრონებისათვის, რომ საქონლის სასიარულო გზები აიხსნას ყოველის გადასახადისა და ბაჟისაგან და თუ აქ შეუძლებელია რაიმე წესი და რიგი დაიდვას კერძოდ სამფლობელო მამულების შესახებ, ხაზინამ მაინც დაუთმოს რამ იმოდენად მაინცა, რომ შესაძლოდ იქმნას საქონლის ყოლა და შენახვა. მაინც და მაინც ამ საქმეს ყურადღებით დაკვირვება უნდა და საიდამაც მოევლება, უნდა მოევლოს. უამისოდ გაჭირდა საქონლის ყოლა და ეს საკმაოდ დიდი სახსარი ცხოვრებისა ჰქლამის გაქარწყლდეს.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 31 მაისს, ალექსანდრეს ბაღში დანიშნულია საერო სეირნობა ალექსანდრეს სახელობაზე დაარსებულ ყმაწვილების თავ-შესაფარის სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყობა ნაშუადღევის 5 საათზე, ხოლო ბალი დაიკეტება 3 საათზე. სეირნობის დროს ბალი გაჩირაღებული იქნება. მუსიკას დაუკრავს ორი ხორო მემუსიკეთა; რუსულ სიმღერებს იტყვის ორი ხორო მომღერალთა და ზურნას დაუკრავს მეზურნეთა დასტა. საღამოზედ შუშხუნებს აუშვებენ.

## ფელეტონი

**ჩიტი-გვრიტი**

რასაცა დასთეს მიწისა პირსა,
იგი გამოვა, გაიდგამს ძირსა.
ქილ. და დამ.

ვის შეუძლიან სთქვას, რომ არსენ შავგულიძე ბედნიერი არ არისო? მართალია, არსენ შავგულიძე არც დიდის სიმდიდრის პატრონია, არც დიდის გვარიშვილობისა და არც თუ უმაღლესი სწავლა აქვს იმას მიღებული; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, სიმდიდრეში, გვარშვილობაში, დიდ სწავლაში ყველა ვერ ჰპოვებს ბედნიერებას. ბედ-შავი და ბედ-მლაშე მდიდრებშიაც არის, კაი გვარიშვილებშიაც და სწავლულებშიაც. პირ-იქით, შეიძლება საშინელი ღარიბ-ლატაკი იყო, სულ უკანასკნელის კაცის შვილი, სრულიად უსწავლელი, ხეპრე და ბედნიერად-კი სთვლიდე შენს თავს.

მაშ ვინ არის ბედნიერი? ჭკვიანი ხალხი ამბობს და, ღვთის წინაშე, ეს მართალიც უნდა იყოს: ბედნიერი ის არის, ვინც თავის ყოფის, მდგომარეობის ან ცხოვრების სრული კმაყოფილიაო.

— მერე რით არის კმაყოფილი არსენ შავგულიძე?—ჰმ!.. ასე ადვილად როდი ითქმის... რით არის და იმით, რომ იმას ჰყავს თავისი ნანდომი, გემოვნებისამებრ ნაშოვნი ცოლი! იცით ეს რა სიტყვებია? ყოველი სიტყვა, ხომ მოგეხსენებათ, რაიმე ცნების ანუ აზრის გამომხატველია; მაგრამ ის, რომელიც გამოიხატება სიტყვაში „გემოვნებისამებრ" და ნამეტნავად ამ შემთხვევაში, როდესაც ამ სიტყვას გვერდით სიტყვა „ცოლი" უზის, ვერ წარმოიდგენთ, რა დიდ მნიშვნელოვანია კაცისათვის!

ამბობენ, ცოლის შერთვა კაცის ცხოვრებაში ერთი უძნელესი ნაბიჯთაგანიაო. უძნელესს ნაბიჯს კიდევ იმიტომ ეძახიან, რომ თუ კაცი აქ როგორმე წინ-დაუხედავად, განუსჯელად მოიქცა, მაშინ, შენს მტერს: ის თავის თავს საუკუნოდ უფსკერო ჯურღმულში ჩააგდებს და წუთის სოფლისაგან სავაგლახოდ განწირული შეიქმნება.

რასაკვირველია, დღეს ჩვენს არსენას დიდი სიხარული ჰმართებს, რომ ასე უვნებლად გადათელა ჯურღმული და საშიშს ფონს სრულის გამარჯვებით გაიდა.

ბევრი ხანი არ არის, რაც არსენ შავგულიძემ დიდის ამბითა და დავიდარაბით ცოლი შეირთო. მისი ცოლი, გთხოვთ გაიცნოთ, ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისაა; სახით ნაზი, ზნე-ხასიათით ანგელოზი, გულით შარბათი, სულით უმანკო კრავი; სახელი მისი თაფლო. თაფლოს სწავლა დამთავრებული არა აქვს; დამთავრებული რომ ჰქონოდა, არსენ შავგულიძის მეუღლეც არ შეიქმნებოდა: უკანასკნელი მეტად იქვის თვალით უცქერის სწავლა დამთავრებულ ქალის სიკეთეს და არცა სჯერა, რომ ეხლანდელი ნასწავლი ქალი კაცს „მეუღლედ" გამოადგეს.

„ოცს ცოლიანს კაცში მხოლოდ ერთს ანუ ორს თუ ჰყავს მეუღლეო, იტყვის ხოლმე შავგულიძე. ცოლის შერთვა ძრიელ ადვილია, მაგრამ „მეუღლის" შოვნაა გასაჭირიო."

ასე დიდს საზღვარსა სდებს შავგულიძე ამ ორ სიტყვათა შორის და, რასაკვირველია, სიმართლეც მიუძღვის წინ. ტყუილად-კი არ გამოუგონიათ ძველ ქართველებს ორი სიტყვა ერთისა და იმავე საგნის აღსანიშნავად. სად ცოლი და სად მეუღლე? უეჭველია, რაიმე საბუთი ჰქონდათ, როდესაც ამ ორ სიტყვათა შორის მნიშვნელობა განუსაზღვრავთ. სწორედ საბუთით ხელ-მძღვანელობს არსენ შავგულიძე. აი ეს უკანასკნელი რას ამბობს:

„ცხოვრება დატვირთული ურემია, რომელშიაც მე ნება-უნებლიედ სამუდამოდ ვაბივარ; დრო ანუ ხანი ჩემის სიცოცხლისა ისეთივე შარაა, რომელზედაც ჩვეულებრივი ურემი დადის ხოლმე,—ისეთისავე აღმართ-დაღმართებით, ოღრო-ჩოღროებით, ღელე-კლდეებით და საშიშ ფონებით. ვაღგევარ ამ გვარ შარას და გაუჩერებლივ, დაუსვენებლივ მივისწრაფვი განგებისაგან დანიშნულს ადგილისაკენ, სადგურისაკენ. ეს სადგური გახლავთ ჩემი აღსასრულის დღე.

„მე მჭირია დახმარება, შველა, უღლის გაწევა, ე. ი. მეუღლე. რამდენად ამ მეუღლეს შნოიანს და გერგილიანს აღმოვარჩევ, იმდენად მეტი დახმარება მექმნება, იმდენად შევიმსუბუქებ ტვირთს, გავიადვილებ გზას. თუ თვალები ავიხვიე, წავაწყდი ერთს ყოველის მხრივ ჯაგლაგს რასმე, მაშინ შენს მტერს: არამც თუ საპალნეს შევიმსუბუქებ, არამედ ისიც-კი ჩემს ტვირთად შეიქმნება და ისეთსავე დღეში ჩავარდები, რა დღეშიაც საბა ორბელიანის ერთს იგავში ერთი ვინმე ჩავარდა.

„ჯალაბობაში ბედნიერება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ცოლ-ქმარს ურთი-ერთ შორის სიყვარული და თანხმობა აქვთ. თანხმობა კიდევ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ყოველს საგანზედ ერთი რწმენა-შეხედულება აქვთ, ორთავ ერთ გვარად ესმით ავი და კარგი, ერთის სურვილითა და წადილით არიან გამსჭვალულნი, ერთის სიხარულითა ხარობენ და ჭირში ერთმანეთს წრფელის გულით თანაუგრძნობენ.

„ეს, რასაკვირველია, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის აღზრდილი საკოლო. ზოგიერთი ქალი ძნელად თუ კაცს მეუღლედ გამოადგება: იმას ცოტად თუ ბევრად დაჭყლონებული აქვს ზოგიერთი რწმენანი ცხოვრების შესახებ, საკუთარი აზრები აქვს საქმეთა სიკეთის სახომად და თავისებურის ჰანგითა ჰსდის ყოველს საგანს ზედ.

„ასეთის ქალის საქმროსთან შერიგ კიდევ შეიძლება ის მოხდეს, რომ ჯვრის წერის უმალვე ახლად შეუღლებულთ შეიძლება ერთმანეთს ბიჭი აარიდონ, ზურგი შეაქციონ და ბოლოს ერთმა მარცხენა და მეორემ მარჯვენა გაუტიონ.

„სულ სხვა სულით ნორჩის ქალის შერთვა. ის ნამდვილი წმინდა სანთელია, რომელიც ძრიელ ადვილად მოლბება სითბოზედ და რომლისაგანაც სურვილისამებრ ყოველ გვარს ფიგურას გააკეთებს. ხოლო, როგორადაც ყოველს აზრი და ხელოვნება გამკეთებელზედ დამოკიდებული, აგრეთვე უურთიერთის ცოლის კეთილად აღზრდა ქმრისზედ არის, რასაკვირველია, დამოკიდებული. ხარი ხართან დაბი, ან ზნეს ისწავლის ან ფერსო—ნათქვამია, თუ ქმარი ზნეობრივის და გონებრივის ღირსება-

*** აელაბარში, ყაზარმების წინ, პეტრე-პავლეს სასაფლაომდე რკინის გზის ლიანდაგისათვის ძალიან ღრმად არის გაჭრილი მიწა. ამ ადგილას უწინ მშვენიერი სასეირნო იყო აელაბრელებისათვის. რკინის გზის ლიანდაგმა ეს ადგილი ძალიან დაამახინჯა, მაგრამ საღამოობით მაინც დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს, მეტადრე კვირაუქმობით, და დასეირნობს ამ ადგილას, მაგრამ აქ სეირნობა მეტად საშიშია. ერთი ბეწვად რომ ფეხი გადაუცდეს კაცს ლიანდაგისათვის ღრმად ამოღებულის თხრილისაკენ, სამუდამოდ გამოეთხოვება წუთი-სოფელს, რადგანაც თხრილი თითქმის ოთხის საჟენის სიმაღლეზეა ამოღებული. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს და ან თითონ ან რკინის გზის გამგეობას მოაჯირები გააკეთებინოს უბედურების ასაცილებლად.

*** თეძამის ხეობიდამ გვწერენ, რომ აქეთ კარგი პირი უჩანს მოსავალსაო. ხალხი ძრიელ იმედიანად არის ამის გამო და უხარიან, რომ ასეთს მოსავალს შეჰყურებსო. ჩვენი ხეობა ცოტა არ იყოს ვერ არის განთქმული პურის მოსავლითა: აქედ უფრო ღვინის მოსავალს მისდევენ და ვენახების კეთებას ანდომებენ დროს. ამიტომ იშვიათია, რომ ადგილობრივი პური ეყოს ხოლმე ჩვენს ხეობას. კარგი მოსავლიც რომ იყოს ჩვენი მამულები, მაინც ისე მცირედა გვაქვს სახნავი მიწები, რომ მჭიდროდ დასახლებულს თეძამის ხეობას ძლივს ჰყოფნის აქ მოსული პური და ამიტომ პური ხშირად ზემო-ქართლიდამ ჩამოგვაქვს ხოლმეო.

*** სამეგრელოდამ გვწერენ: მეგრელი ქართველი ყოფილა სრულიად, სულით, გულით, ენით და ხასიათით და აი დასამტკიცებელი საბუთიცა: კვირას, 24-ს მაისს, იქმნა წარმოდგენა ჩვენს ახალ-სენაკში ქალების სკოლის სასარგებლოდ. დამსწრე ხალხის სიამოვნებასა და ცეკვა-ლხენას არა ჰქონდა საზღვარი, მაგრამ ფული-კი ძრიელ ცოტა შემოვიდა: სამოც-და-ათ მანეთამდე. ერთი ოც-და-ათიც სხვა შემოვიდოდა, რომ ბილეთები მომეტებული ყოფილიყო და ან დარბაზი ორჯელ აწინდელზედ უმეტესი. მართალია, ეხლა აქ თავად-აზნაურობის ყრილობაა მარშლის ამორჩევის თაობაზედ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რა დროსაც უნდა გვეწვიოს ტფილისის სათეატრო დასი, მთელი ფოთი, ზუგდიდი და სრულიად სამეგრელო ერთიან თავს მოიყრის ახალ-სენაკში.

*** ვლადიკავკაზიდამ გვწერენ: იმ გავარდნილ ყაჩაღ ძამფაევის საქმე რომელიც მოჰკლეს 27-ს აპრილს სოფ. ოლგინსკაში, ასე იყო: 26-ს აპრილს ოლგინსკის მამასახლისს შეასმინეს, რომ ძამფაევი ამა-და-ამ კაცის სახლში არისო. მამასახლისმა შეჰყარა სოფელი, მივიდნენ დასახელებულის კაცის სახლში, ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს გავარდნილი ძამფაევი იმ ღამეს. მეორე დღეს იპოვნეს ძამფაევი სოფელზედ მოშორებით; ძამფაევი გარბოდა, მაგრამ სოფლიდგან მდევარი მოეწია და აღარ გაუშვეს. მდევარი ბევრი ეხვეწა ძამფაევს, დაგვნებდი, იარაღი მოგვეციო, მაგრამ ძამფაევი იმას ეუბნებოდა პასუხად, რომ სანამ პირში სული მიდგას, იარაღს არავის მივცემო. რომ აღარა იქნა-რა, გაჰგზავნეს მაციყის და ნასრანის ფოსტის სადგურებში და კიშტები მოაყვანინეს, ის კიშტები, რომელნიც ყარაულად არიან ფოსტის სადგურებში. ყარაულები, როგორც მოვიდნენ, ერთმა კიშტის ურიადნიკმა არც აციავა, არც აცხელა, ცხენს მათრახი შემოჰკრა და გააჭენა ძამფაევისაკენ, მაგრამ გავარდნილი ძამფაევი გულადად დაუხვდა. მიავდო ცხენი ურიადნიკმა და დაახალა თოფიც; გავარდნილს თოფი წვივში მოჰხვდა და ჩაიჩოქა, მაგრამ, თითქოს შერცხვაო, ისევ უცბად წამოხტა, გაიცინა და შესძახა: „ჰუიტ-მარზეო“, და ერთის სროლით გადმოაგდო კიშტის ურიადნიკი ცხენიდგან. წვივში დაჭრილი ძამფაევი გაიქცა, იქვე წყალ გაღმა გავიდა, პატარა მაღლობზედ დაჯდა და დაიწყო სიმღერა. იქიდგანაც უკან დაბრუნდა და გამოემართა სოფ. ოლგინსკისაკენ, რომელსაც გარშემოერტყა ხალხი და მოსდევდა თოფის სროლით. ძამფაევი, თუმცა რვა-ცხრა ალაგას ტყვიით დაჭრილი იყო მძიმედ, მაგრამ სოფელთან რომ მოახლოვდნენ, იქაც ერთი კიშტი მოჰკლა. შემდეგ რაკი ბერდანკის პატრონები შემოაკლდა, მოიქნია ბერდანკა და მიწაზედ დაარტყა. ამ დროს იძრო ხანჯალი და, რადგანაც თვითონ გაქცევა აღარ შეეძლო, ხანჯალი ესროლა და ერთი კიშტიც მკლავში დასჭრა. ამ გვარად გავარდნილმა ძამფაევმა ორი კიშტი მოჰკლა, ერთიც დასჭრა და თვითონაც იქვე წაიქცა და მოკვდა რვა-ცხრა ალაგას ტყვიით დაჭრილი.

*** ქიზიყიდამ გვწერენ კალიის თაობაზე: წელს სიღნაღის მაზრას კალია კვლავ ეწვია. მაზრის უფროსის განკარგულებით დღეს, 24 მაისს, მთელი მაზრის ხალხი გასულია კალიის გასაწყვეტად.

*** ცხინვალიდამ გვწერენ: 20 მაისს კიდევ მოხდა ერთი მკვლელობა, სახელდობრ ცხინვალის ებრაელი კაკა შათაშვილისა, რომელიც მოდენილა ზემო-ქართლიდგან შინისაკენ. როგორც გამოსცდენია სოფელ ავნევს, დაჰხვედრიან ვიღაც ჩასაფრებული ავაზაკები და უსვრიათ ჭალიდგან თოფები. ებრაელი ორს ალაგას დაუჭრიათ: ერთი ტყვია ფერდში აქვს მოხვედრილი და მეორე—მკლავში. დაჭრილის ურიისათვის წაურთმევიათ 20 მანათამდინ ფული და ცხენი თავის საუღელო ბოღჩებით. გამწარებული ურია საჩქაროზედ ჩაჭრილა სოფელს ავნევში, გამოუცხადებია ეს ამბავი და შემდეგ მომკვდარა. ეტყობა, სოფელს თავი არ შეუწუხებია, თორემ ჩქარა დაიჭერდნენ ავაზაკებს, რადგანაც ჯერ ისევ ადრე ყოფილა, ესე ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდაო. როგორც გაიგეთ, ამ მკვლელთაგანს ერთს აუღლია იმ ბოღჩებიანის ცხენით თოფ გადაკიდებულს სოფ. დოდოთზედ და ისიც უგზო-უკვლოდ. ამას გარდა გვიამბეს, რომ ამ დოდოთელებს კიდეც უცვნიათ ერთი ავაზაკი, რომელიც ოსი იყოვო. ეჭვი არ არის, რომ პოლიცია ჩქარა აღმოაჩენს ამ ურიის მკვლელს.

*** ცხინვალიდამვე გვწერენ: შარშან წავიკითხეთ „ივერიაში“ ცხინვალის უსუფთაობაზედ, სასმელ-საჭმლის უვარგისობაზე და სასწორებისა და საწყაოების სიყალბეზედ, მაგრამ ვინ იყო პატრონი, რომ მოესპო ეს საძაგლობა და მოერჯულებინა ცხინვალის ვაჭრები. დღესაც ისე იქცევიან, როგორც შარშანა და შარშანწინ. ოთხს თვეში ერთხელ დავინახავთ ნიხრს, გამოკიდებულს, ეგონებთ, უფრო ფორმისთვის, თორემ საქმით-კი ყურს არავინ უგდებს. 1 მაისს დავინახეთ გაკრული ნიხრის ფურცელი: ძროხის ხორცი 7 კაპ. ღირსო, თხაც ესევე, ღორის ხორცი 6 კაპ. და ცხვარი—8 კაპ. როგორც გაიგეს ეს ასეაო, შეჰკრეს პირობა ყასბებმა და სისხლი აღარას გამოადინეს. ხალხი რომ შეწუხდა, ნება მისცეს, როგორც გინდათ ისე გაჰყიდეთ, თქვენი ნება იყოს, ოღონდ-კი დაჰკალით რამეო. რაკი ნებაზედ მიაგდეს, დაუწყეს თითო-ოროლა დამრჩენილ საკლავს ხოცვა და, როგორც ეპრიანებათ, ისე ჰყიდიან. ამას ჯანი გაჰვარდეს, როგორც უნდა გაჰყიდონ, ეს სასწორი და საწონი ქვები მაინც გაასწორონ. აქ საკლავი ისე ძვირი არ არის, როგორც სხვაგან, ამიტომ-რომ მთა ზედვე აკრავს ცხინვალს და ნახევარ ფასადაც ყიდულობენ ოსებისაგან როგორც საკლავს, ისე ყველს, ერბოს, თაფლს. ყველა ამას სცვლიან მარილზედ და ნახევარ ფასად არ ისვამენ; თვითონ-კი მერე მამა-სისხლადა ჰყიდიან: ერბოს ცხრა შაურზედ და ორ აბაზზედ ნაკლებ არ აძლევენ მაშინ, როდესაც თავად სამ შაურადა აქეთ ნაყიდი. ამასთანავე ყველი გირვანქა შაურ-ნახევარი არ უზით და თითონ კი აბაზადა ჰყიდიან.

*** სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი ამ მაისის 24 წავიდა პეტერბურგში.

*** თავად რ. ა. ჩოლაყაშვილს გაუმართავს პანკისის ხეობაში, სოფელ ბირკიანის ახლოს, ხე-ტყის სამხერხაო ქარხანა. მართალია, ამ ხეობაში მშვენიერი ტყე არის, მაგრამ უგზო-უკვლოობა ძრიელ აფერხებს თურმე ახალის ქარხნის მოქმედებას.

*** „Русскія Вѣдомости“ გვაუწყებს, რომ 28 მაისის 1886 წ. კანონის ძალით ყველა კავკასიის მკვიდრმა ამას იქით სამხედრო ბეგარა უნდა იხადოს მაჰმადიანთა გარდაო. მხოლოდ მაჰმადიანთ ფულით უნდა გადაიხადონ სამხედრო ბეგარა და სულ-კი 528,000 მან. უნდა გადაიხადონო. ეს რიცხვი გამოანგარიშებულია ფინანსთა სამინისტროსაგან და ამ უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო საბჭოს დაუმტკიცებია

---

ბით არის ალჭურვილი, ცოლზედ მისი გავლენა ყოველ შემთხვევაში სასიკეთო იქმნება.“

აი ის ხელ-მძღვანელი აზრი, რომელიც არსენ შავგულიძეს ცოლის შერთვის დროს სახეში ჰქონდა. სწავლა დამთავრებულის ქალის შერთვა სახიფათოა: შეიძლება შეფერებით ვერ ვიცხოვროთ, შეიძლება ჰკვიანობა დაიჩემოს, არაფერში არა გამიგონოს-რა, არ დამითმოს, არ დამეთანხმოს ხოლმე და ამით ჩვენ შორის საუკუნოდ უსიამოვნობამ ფესვები გაიდგასო, სთქვა ეს არსენ შავგულიძემ და კიდეც გარდასწყვიტა, რომ განსაცდელის თავიდამ ასაშორებლად კეთილ-გონიერება მოითხოვს, ჩემის ცოლის აღზრდა მე თვითონ ვიკისროვო; რა სჯობს იმასაო, ინუგეშებდა თავს ჩვენი გმირი,—რომ კაცმა თავის ბაღში რაც ჰსურს და როგორაც ჰსურს, ყოველივე თავის ხელით ისე დასთესოსო.

ცხადია, რომ არსენ შავგულიძე ადვილ საქმეს არა ჰკიდებდა ხელსა; ადამიანის აღზრდა და ნამეტნავად ისეთის ადამიანისა, რომელსაც შენს სამუდამო ამხანაგად იქადი, ყოველთვის და ყველასათვის ერთი უძნელესი საგანთაგანი ყოფილა. ამიტომ გარეშე კაცს აუცილებლად აქ ერთი საკითხავი მოსდის თავში: აქვს თუ არა თვითონ შავგულიძეს იმოდენა ღონე, იარაღი, სწავლა-გამოცდილება, რომ ბრძოლის მოედნიდამ გამარჯვებული გამოვიდეს და დაფნის გვირგვინის ღირსი შეიქმნას?

გამარჯვებისა და დაფნის გვირგვინისა-კი რა მოგახსენოთ და, რომ ჩვენი გმირი წინადვე დაჯერებულია საქმის მოგებაში — ეს ნამდვილია. მაშ თავისი თავი დიდი რამ ჰგონებია არსენ შავგულიძესაო, დაასკვნის ზოგი-ერთი! თქვე დალოცვილის შვილებო, ჩვენ დროს ვილას არა ჰგონია თავისი თავი დიდი რამ?

**

ყველა ყველაა და ეს „ჩიტი-გვრიტი“ რაღას შუაშიაო? განცვიფრებით იკითხავენ ბევრნი. მოთმინება იქონიეთ, ბატონებო, და მალე გაიგებთ ამის პასუხს.

არსენ შავგულიძის და მის ერთგულის მეუღლის თაფლოს ცხოვრება ჯვარის წერის შემდეგ პირველ ხანებში, როგორც ეს ხშირად არის, მეტის-მეტის სიამოვნებით და სიტკბოებით მიმდინარეობდა. ახალგაზდა ცოლ-ქმარ შუა ათას ნაირი საგანგებოდ მოგონილი ცელქობა ხომ აუცილებელი ამბავია; მაგრამ, როდესაც გაცხოველებული სიყვარული სდუღს და გადმოდუღს, რა ბავშურა საქციელი გინდა, რომ მან კაცს არ ჩაადენინოს?

გარეშე მაცქერალი სიყვარულისაგან შეპყრობილის ზოგიერთს ნამოქმედარს ხშირად სისულელეს, სიგიჟეს მიაწერს, მაგრამ დიდი შეცდომა-კი იქნება ეს. როგორადაც თვით სიყვარული ბუნებრივი გრძნობაა, ბუნების შვილია, აგრეთვე ყოველივე მისი თავ-გარდასავალი, ნამაგევი არსაოცარია, ბუნებრივია და, მაშასადამე, არც დიდის კილვისა და კიცხვის ღირსია.

მოგეხსენებათ, ყოველი ნახული და გაგონილი ქაღალდზედ არ გამოითქმება, ნამეტნავად თუ ეს ქაღალდი საზოგადოების წინაშე უნდა წარსდგეს, —ამას ზრდილობა მოითხოვს და არც თუ კანონი მისცემს ვისმეს ამის ნებას. ამიტომ იმედი გვაქვს, არავინ მოგვეთხოვს, არსენას და თაფლოს შორის განუსაზღვრელის სიყვარულის დამამტკიცებელი ყოველ-გვარი წვრილმანი ეპიზოდები, რომლითაც ასე მდიდარია მათი ცხოვრება, აქ მოვიყვანოთ.

უნდა ვსთქვათ-კი, რომ სიყვარულმა ამ ახალგაზდა ცოლ-ქმარს და ნამეტნავად პირველს, ვინ იცის, რამდენი უცნაური და სასაცილო სიტყვა-მსჯელობა არ დაახარჯვინა?

— წარმოიდგინე, ჩემო სულო, ეუბნებოდა ერთხელ ქმრის კისერზედ ჩამოკიდებული, გრძნობით გატაცებული თაფლო თავის სატრფოს: რა ნაირად გამიკვირდა, ჯვარის-წერის დროს მღვდელმა რომ მკითხა: „გსურს ეს საქმროდ, თუ არაო!“

— მერე რა არის აქ, შენ გენაცვალე, საკვირველი? ჰკითხა არსენამ.

— ისა, რომ რათა მკითხა?

— გკითხა იმიტომ, რომ კანონის ძალით ყოველი მღვდელი მოვალეა ამ შემთხვევაში ასე მოიქცეს.

თაფლოა ცოტას ხანს ასეთს ფიქრსაც მიეცა: „მე ჩემი ქმარი მიყვარდეს, გაგიჟებით მიყვარდეს და სხვები ამას ვერ მამჩნევდნენ; ღმერთო ჩემო, ეს რასა ჰგავს! მე-კი საბრალოს ასე მეგონა, უკანასკნელი ბალახი, უკანასკნელი ქვაცა ჰგრძნობს ჩემის გულის მღელვარებას, ესმის ჩემის გულის წუხილი და თანა-მიგრძნობსმეთქი!“

ძნელად თუ-და მოიპოვება ქართულს ენაზედ ისეთი საალერსო სიტყვა, რომლითაც თაფლოს არ მიემართოს ქმრისათვის და მას უკანასკნელისაგან სამაგიერო არ მიეღოს. ყოველი სიტყვა ორმოცი ათასჯერ ჰქონდათ ნახმარი და როცა ერთი რომელიმე სიტყვა მეტად მოჰბეზრდებოდათ, ვიდრე სხვას მოიგონებდნენ, ათას ნაირად სცვლიდნენ მას მიუხედავად ენის ხასიათისა, გრამატიკის კანონებისა და ზოგჯერ აზრისა. მაგ., ჩემო სულო, ჩემო სულიკო, ჩემო სულიჩკა, ჩემო სასულე, ჩემო სულიავ, ჩემო სულის კოლოფო; ანუ: ტრედო, ტრედოჯან, ტრედუკავ, ტრედავ, ტრედინკავ, ტრედუნიავ, და სხვ.

მაგრამ ჩვეულებამ თავისის სასტიკის კანონითაც იჩინა თავი და ბურთი და მოედანი ორს სიტყვას დაულოცა; იმ სიტყვებს, რომელსაც ცოლ-ქმარნი უფრო ხშირად ჰხმარობდნენ ხოლმე და რომელიც შედარებით უფრო ბოლოს ხანშია მოგონილი.

— სწორედ მითხარ, ძლიერ გიყვარვარ, ჩემო გვრიტო? ღიმილით ჰკითხავდა ხოლმე თაფლო თავის ქმარს და თან კისერს გვერდზედ გადიგდებდა, რომ ალერსისათვის მეტი სიმძლავრე მიეცა.

— სრულიადაც არ მიყვარხარ, ჩემო ჩიტო, მიუგებდა ქმარი, რადგან ხშირად განგებ ეძებდა მიზეზს, რომ ეგება როგორმე გავაბრაზიანო, ანუ გავაბუტოო და ამისთანა კაი შემთხვევა ხომ იშვიათად მიეცემოდა.

მაგრამ თაფლო ეხლა ამაზედ ძლიერ არ გაჯავრდა, რადგან სიტყვებში „სრულიადაც არ მიყვარხარ“ უფრო მეტი ამოიკითხა, ვიდრე მკითხველი „ძლიერ მიყვარხარ“-იდგან მოელოდა.

ასე, ცოლი ყოველთვის „ჩემო გვრიტო“-თი უხმობდა თავის ქმარს და ქმარიც იმაზედ უკეთესს რას მოახერხებდა, რომ „ჩემო ჩიტო“ არ დაეძახნა.

თუმცა სანათლიაო არც ერთს არა გასვლია-რა, მაგრამ ისე შეითვისეს ეს ახალი სახელები ცოლ-ქმართ, რომ, ვინიცობაა, შემთხვევით ესენი სასამართლოში მიიწვიონ და იქ მსაჯულმა ან ერთს, ან მეორეს ჰკითხოს: რა გქვიანო? გარწმუნებთ, ნამდვილის სახელის მოგონებას უცებ ვერ მოახერხებენ და უსათუოდ წამოიძახებენ: „მე ჩიტი მქვიან“, „მე გვრიტიო“.

მეზობლებს, რასაკვირველია, ეს გარემოება შენიშნული ჰქონდათ და, როდესაც ცოლ-ქმარს ერთად ნატარებს დაინახავდნენ, მაშინადვე წამოიძახებდნენ: „აგერ ჩიტი და გვრიტი მოფრინავენო“.

ამიერიდგან ჩვენც ასე ვიხსენიოთ ხოლმე.

ალ. მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებით, ვიდრე 1 იანვრამდე 1890 წ. ამ დამტკიცებულს წესდებაში გამოანგარიშებულია თუ რამდენი უნდა გადაიხადოს თვითეულმა გუბერნიამ ანუ ოლქამა; მაგალითად, ყველაზე ბევრი ბაქოს გუბერნიაზეა შეწერილი, 158,000 მან. და ყველაზე ცოტა შავის ზღვის ოლქაზე—200 მან. რაც შეეხება თვითოეულად განაწილებას მაზრებსა, ქალაქებსა და სოფლებ შორის, ამის გამო კერძო კომისიები იქნება დანიშნული ყველა გუბერნიაში, გუბერნატორების თავ-სმჯდომარეობით, რომელნიც გაანაწილებენ ამ გადასახადსა.

*** იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ პეტერბურგში დაიბეჭდა საბიბლიოგრაფიო საჩვენებელი განსვენებულის აკადემიკოსის ბროსსეს ნაწერებისა. ამ საჩვენებელსა ჰქვიან: „Bibliographie des ouvrages de M. Marie-Felicité Brosset, 1824—1879“. ამ წიგნიდამ სჩანს, რომ განსვენებულს აკადემიკოსს სულ 271 თხზულება დაუწერია. ამ რიცხვიდამ 57 საფრანგეთშია დაწერილი, დანარჩენი რუსეთში. რუსულს ენაზედ სულ 45 თხზულებაა დაწერილი, დანარჩენი ფრანგულს ენაზედ არის. ეს თხზულებანი შეეხებიან საქართველოსა და სომხეთის ძველს ისტორიას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ძიმითი**, 11 მაისს. ეს ერთი თთვე გადის, რაც გურიაში მუშა კაცი დაუქმებული არის უწვიმობის გამო. საზოგადოდ გურიაში დედა-მიწა გოლვას ადვილად ვერ იტანს ასე რომ, სრულიად საკმაოა ერთის კვირის განმავლობაში წვიმა არ მოვიდეს და მიწის ნიადაგი ისე გახმება, რომ მუშაობა სრულიად შეუძლებელი გახდება. ხალხი ძალიან დააფიქრა ამ გოლვამ და მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როდესაც წვიმის ღირსი გახდებოდა. გუშინ, კვირას, ხალხი გულ-მხურვალედ და მუხლმოდრეკით ევედრებოდა ღმერთს ეკკლესიაში, ღმერთო ნამი გვაღირსეო და, მართლაც, მის თხოვნას ფუჭად არ ჩაუვლია. იმავე დღის შუა-დღის თორმეტ საათზედ შავმა ზღვამ აუარებელი ღრუბელი გამოჰგზავნა აღმოსავლეთისკენ, თითქოს თანაუგრძნობს ხალხის მწუხარებასაო: მართლაც, ექვსს საათზედ მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და ამან ხალხი გაუზომელ სიხარულს მისცა მით უმეტესს, რომ ქვეყნის გაგრილება მან თავის ლოცვას და ვედრებას მიაწერა. დიდს და პატარას სიხარულისაგან ცრემლები სდიოდა; წარსულის წლის მომდურავს, ახლა-კი მომავალზედ იმედი მიეცა. წარსულს წელს გურული ხალხი ყველაფრისთვის ემდურის და ნამეტნავად-კი ღვინის მცირე მოსავლისათვის. აქ წელს არამც თუ ძველს დროში გათქმულს ღვინოს „ჩხავერს“ ვერ შეხვდებით, არამედ სხვა ღვინოც ერთობ იშვიათად არის. სიმინდის და ლობიის მოსავალიც სხვა წლებზედ ნაკლები იყო. თუთუნის მოყვანას გურულები ძალიან მისდევენ და ამით ძრიელ იოლადაც მიდიან, მაგრამ წელს აღარც თუთუნი წაადგა ხალხს, რადგან, როგორც ამბობენ, თუთუნის ფასმა ძალიან დაიწია. წარსულ წლებში მცხოვრებლები სიმინდის ფასით ისტუმრებდენ სხვა-და-სხვა ხარჯს და წელს-კი ამანაც უსუსტა და ხალხი ძალიან შევიწროებულია, თუმცა სიღარიბის გამო არც აქამდის ყოფილა თავისუფალი და უდარდელი. საზოგადოდ გურია ღარიბი ქვეყანაა, თუმცა ბუნებას ისე მუნწად არ დაუჯილდოვებაა, რომ აქაური სიღარიბე სხვა მიზეზებს არ მიეწერებოდეს. ვერ ვიტყვი საზოგადოდ გურიაზედ და ძიმითის საზოგადოებას სიღარიბეს-კი ხელს უწყობს ბევრი სხვა-და-სხვა გვარი მიზეზი. ერთი რომ თითქმის უმეტესი ნაწილი აქაურის გლეხებისა საბატონოა და თავის საკუთარი მიწა-წყალი ძალიან ცოტა აქვს. მუშაობს ბატონის ადგილში და მოსავლის ნახევარი მებატონეს მიაქვს. მეორე მიზეზი ის არის, რომ სოფელს დიდ-ძალი ნადირი ახვევია გარშემო და დიდს ზარალსაც აძლევს. მესამე, რომ ხალხის სარჩო—სიმინდი თითქმის მარტო მდინარე სუფსის პირებზედ მოდის და ეს მდინარე კი დიდს ვნებას აძლევს მოსავალს, რადგან ადიდების დროს კალაპოტში აღარ ეტევა, გადმოდის და მრთელს ყანებს წალეკავს ხოლმე, როგორც მაგალითად წარსულ წელში. ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ სუფსისაგან წალეკილს ყანებს შეხედოს და მუშა კაცის მარჯვენა არ შეეცოდოს. ამას გარდა, საზოგადოდ გურულები და მათ შორის ძიმითელებიც თვითონ ხელს უწყობენ თავის სიღარიბეს იმ უზომო და უსარგებლო ხარჯით, რომელსაც ისინი ეწევიან მკვდრის დასაფლავებაზედ, ქორწილზედ, ნათლობაზედ და სხვა. რაც უნდა ღარიბი კაცი იყოს, ამ გვარის დღეებისათვის ისე უნდა მოემზადოს, თუნდ ვალის აღებაც მოუნდეს, რომ არც ერთი თავისი სტუმარი, ქორწილში თუ ლხინში, შინ დაუთრობელი არ უნდა გაისტუმროს, რის გამოც, ძალიან ხშირად, დიდი უწესოება და უბედურებაც ხდება.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ გურულებს ბევრი ცუდი ჩვეულება აქვთ. მაგალითად, გურულები სრულებით არ მისდევენ პურის მოყვანას, როდესაც რომ პური, სადაც-კი მოდის, დიდი სიმდიდრეა გლეხისათვის. ავიღოთ ქართლ-კახეთი და უფრო ქართლი. ქართლის სიმდიდრე მომეტებულ ნაწილად პურზედ არის დამყარებული. ბევრია გურიაში ისეთი ადგილები, სადაც ჩინებული პური მოვა. გურულს რომ ჰკითხოთ, პურს რად არ სთესავთო? პასუხად მიიღებთ: „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ იზამ მასზედ მეტსაო“. ეს ერთი და მეორე, რომ ჩიტები „დაგვიჭამსო“. თითქო სხვა ქვეყნებში-კი ჩიტები არ იყვნენ!

გურულს კაცში ბევრს კარგს თვისებას შეამჩნევთ, ნიჭიერებას—სწავლა-განათლების სიყვარულს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ღარიბის კაცისათვის სწავლის მიღება ადვილი საქმე არ არის. ამისათვის ცუდი არ იქნებოდა, რომ გურულები ისეთს სირცხვილს, როგორც სტუმრის დაუთრობლად შინ გასტუმრებაა, სირცხვილად არა სთვლიდნენ და სხვა-და-სხვა შემთხვევებში უზომო ხარჯს შეამცირებდნენ. აგრეთვე ურიგო არ იქნებოდა, რომ გურიაში პურის ხვნასა და თესვას შემოიღებდნენ, ვენახის მოვლას სხვა გვარად მოეკიდებოდნენ და არ აშენებდნენ ტყეების პირად, როგორც ვხედავთ დღეს გურიის ბევრს ადგილებში.

—

სწავლა-განათლება საზოგადოდ მთელს ოზურგეთის მაზრაში ძალიან უყვართ. ამ აზრის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ ამ მაზრაში 18 სასოფლო სკოლაა. თითქმის ყველა სკოლები როგორც ჰიგიენურის, აგრეთვე პედაგოგიურის მხრით კარგად მოწყობილია. მრთელს შორაპნის მაზრაში, რომელიც სივრცითაც და მცხოვრებთა რაოდენობითაც ოზურგეთის მაზრაზედ უფრო დიდი არის, შკიდი სკოლაა. იქ სკოლის წარმატებას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს. არც სკოლის სახლები კარგა და არც სტოლებსა და სკამებსა აქვთ ხეირი. მასწავლებლის ჯამაგირი შორაპნის მაზრაში არ აღემატება 200—250 მან. მაშინ, როდესაც ოზურგეთის მაზრაში სოფლის მასწავლებლის ჯამაგირს 300 მანეთზე. ნაკლებს ძალიან იშვიათად შეხვდებით. ესეც სიყვარულს ამტკიცებს სკოლისასა. შორაპნის მაზრაში ერთად-ერთი სკოლაა ხარაგაულის საზოგადოებაში, სადაც სახლიც კვარიანია და მასწავლებელსაც 350 მან. აქვს ჯამაგირი.

ოზურგეთის მაზრაში სწავლა-განათლება უყვართ-მეთქი. ეს საზოგადოდ გურიაში შეინიშნება და განსაკუთრებით-კი ძიმითის საზოგადოებაში დიდი სურვილია გაღვიძებული სწავლისა. აქაურ მცხოვრებლებს ძალიან უყვართ წერა-კითხვის ცოდნა და კიდევაც სცდილობენ, რომ მათ შვილებს ხელის მოწერა მაინც შეეძლოსთ. ისეთი კაცი გზავნის სკოლაში შვილს, რომელსაც სულს აქვთ არაფერი ქონება არ მოუქცევა. მე წელს, როგორც ადგილობრივი მასწავლებელი, იძულებული ვიყავი ადგილის უქონლობის გამო უარი მეთქვა მთხოვნელების მესამედ ნაწილისათვის და მათი შვილები სკოლაში არ მიმეღო. აქაურ გლეხებს რომ სწავლა ჰსურსთ, ეს იქიდგანაც შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ძიმითის სასოფლო სკოლა თითქმის გურიის ყველა სკოლებზედ ადრე დაარსებულა და მასწავლებელსაც დღემდის ყველა სხვა მასწავლებლებზედ მეტი ჯამაგირი აქვს: აქ ააშენეს წარსულის წლის ოქტომბერში საუკეთესო სკოლა და ამ გარემოებამ ისეთი კეთილი გავლენა იქონია გურიაზედ, რომ ბევრგან წაჰბაძეს ძიმითის საზოგადოებას და ახალის სკოლების შენებას შეუდგნენ ძიმითის სკოლის პლანზედ. მთავრობისაგანაც ყურადღება აქვს დამსახურებული ამ სკოლას, რის დასამტკიცებლადაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ სახლის აშენებაში ხაზინა 200 მან. დაეხმარა საზოგადოებას. თუ სიღარიბე არა, ამ სკოლის საქმე წინ წავიდოდა, მაგრამ ეს მცხოვრებლების გაუყრელი მტერი ნებას არ აძლევს მშობლებს რიგიანად ატარონ შვილები სკოლაში და სწავლას არ მოაცდინონ. ისინი ხშირად იძულებულნი არიან უმაწვილები ყანაში ამუშაონ. 88 მოსწავლეში არ არის 3—4 იმისთანა, რომელთაც 200—300 გაკვეთილი არ გამოეტოვებინოს წლის განმავლობაში და 300—400 გაკვეთილის გამომტოვებელი შეგირდი ხომ ბევრია. თითქმის მრთელ ზაფხულ-ზამთრობით უმაწვილები ფეხშიშველი და ტან-მიშველი დაიარებიან სკოლაში...

ძიმითის სკოლის მასწავლებელი
ტრიფონ ტაბუაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთებს სალაპარაკო გამოელიათ. ზაფხულის მოახლოვებამ შეაყენა საპოლიტიკო საქმეები. სხვა-და-სხვა „ინციდენტები“ და მოულოდნელი მალაყები დიპლომატიისა ჩაილულის წყალს მიეცა. იქნება ახლა-კი ცოტაოდნად მოისვენოს მკითხველის გახურებულმა გონებამ და ხან მნებელი, ხან ბოლგარიის რეგენტები და ხან გილზაები—ეს მოსისხლე მტერნი აბდურახმან-ხანისა—სიზმარში აღარ ელანდებოდეს და მაჯლაჯუნასავით არ აწვებოდეს გულზედ.

თუ არის კიდევ რამ სალაპარაკო დღეს პოლიტიკაში, ისევ ინგლისისა და ოსმალეთის ურთიერთობაა.

ძალიან დამეგობრდნენ ამ ბოლოს დროს ეს ორი სახელმწიფოვო, ამბობს გაზეთი „Свѣтъ“-ი. ამათ თითქო დარდი არა აქვთ იმისი, რაც ევროპაში ხდება. არც ინციდენტებს აქცევენ ყურადღებას, არც სხვა სადიპლომატო მოლაპარაკებას და ჩუმ-ჩუმად თავიანთ საქმეს არიგებენ. ამ ჟამად ეგვიპტის გამო კონვენცია შეჰკრეს და კონვენციის ტექსტი გაზეთებში საჯაროდ გამოაცხადეს.

ვინ იცის, იქნება სხვა რამ პირობაცა აქვთ შეკრული ინგლისსა და ოსმალეთსა. ამისი ეჭვიც ძალიანა აქვთ ზოგიერთს გაზეთებს და სხვათა შორის ზემოხსენებულს „Свѣтъ“-საც.

ეგვიპტის კონვენცია ცხადად ამტკიცებს, რომ ინგლისის დიპლომატიამ გაიმარჯვა სტამბოლში. ეს გარემოება უფრო ცხადი იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კონვენციის შეკვრის შემდეგ ოსმალეთმა ცირკულიარი გაჰგზავნა ყველა დიდ სახელმწიფოებთან და სთხოვა მოვილაპარაკოთ ბოლგარიის საქმის გამოვო.

თუ გაზეთის მოსაზრება მართალია, რაშიაც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლგარიის საქმე მალე წამოჰყოფს თავს ხელ-მეორედ საპოლიტიკო მოედანზე და კვლავ ასტეხავს დავიდარაბასა.

**

მოსალოდნელ დავიდარაბას უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე ის გარემოებაცა, რომ ამ ჟამად ინგლისის მთავრობა, ჟურნალ-გაზეთობა და ზოგიერთი სახელმწიფო კაცნი, როგორც, მაგალითად, რანდოლფ ჩერჩილი, დიდად ჰზრუნვენ ჯარისა და ფლოტის განკარგებისათვის.

როგორც სჩანს ახალ ოფიციალურ ცნობათაგანაო, ამბობს გაზ. „Новости“: ინგლისმა ამ ბოლოს დროს შედარებით კარგად მოაწყო თავის ლაშქრისა და ფლოტის საქმე. ინგლისის ჯარი უფრო კარგად არის მოწყობილი და მომზადებული საომრად შუა-აზიაში, ვიდრე ევროპაშიო. თვით თავის თავის დასაცველად ინგლისი ბევრს არას აკეთებს, უფრო ბევრსა ლაპარაკობს, ვიდრე საქმობს, მაგრამ ინდოეთის დასაცველად-კი ძალიან ცოტას ლაპარაკობს და საქმობს-კი ძრიელაო.

ასე ლაპარაკობს ისეთი გაზეთი, რომელსაც მიზეზი აქვს უფრო დაამციროს და კარგი არ ილაპარაკოს ინგლისზე და თუ ამის შემდეგ ჩერჩილი მაინც ცხარე სიტყვას ამბობს ლაშქრის და ჯარის მოუწყობელობაზე და საადმინისტრაციო წესებზე, როგორც დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, ეს გარემოება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა და საზოგადოება მხნედ შესდგომია თავის ჯარის კარგად მოწყობასა და საომრად მომზადებასა.

**

სასოფლო სკოლების გაჭირებულმა მდგომარეობამაც ძლივს მიიქცია ჟურნალ-გაზეთობის ყურადღება. გაზეთ „Недѣля“ ამტკიცებს, რომ სკოლების მდგომარეობის განსაკარგებლად საჭიროა მიეცეს თითოეულს მათგანს მიწები.

პირველ ყოვლისაო, ამბობს ეს გაზეთი, სასკოლო მიწებს ის მნიშვნელობა ექმნებათ, რომ სოფლის მასწავლებლის შევიწროებულს ყოფა-ცხოვრებას განაკარგებს. დიდი უმრავლესობა მასწავლებელთა ისეთს მცირე ჯამაგირსა და სასყიდელს იღებს დღეს, რომ ძლივსა სცხოვრობს. დაუმატეთ ამას ისიცა, რომ მასწავლებლები ხშირად რამდენისამე თვეობით ვერ იღებენ თავიანთ მცირე ჯამაგირსა. ამის გამო სცვივდებიან ვალებში და ფულიან ხალხის ყურ-მოჭრილ ყმებად გადაიქცევიან ხოლმე. ნუ თუ ამის შემდეგ, ცხადი არ არის, რომ მასწავლებელთა მდგომარეობა მეტად სამძიმოა და აუტანელი. სასკოლო მიწები ცოტაოდენს შემწეობას მისცემს მასწავლებელსა და ჯამაგირს გარდა მცირე შემოსავალი ამ მიწიდამაც ექმნება.

გაზეთი ჩამოსთვლის ბევრს სხვა გვარს მნიშვნელობასაც, რომელიც ექმნება სკოლისა და ერისათვის იმ გარემოებას, რომ ცოტაოდენი მიწები დაურიგდეს სკოლებს.

სასურველია და მეტად სასურველიცა, რომ ამ საგანს მიაქციოს ყურადღება უმაღლესმა მთავრობამ და ასეთი სასარგებლო აზრი გაზეთისა ხორც-შესხმულ საქმედ გადაიქცეს. იქნება მაშინ მაინც ეშველოთ სოფლის მასწავლებელთ, რომელნიც ისეთის სასარგებლო შრომისათვის ისე მცირე ჯამაგირს იღებენ, ისე უყურადღებოდ არიან დატოვებულნი და ათას ნაირს გაჭირვებას ითმენენ თავიანთ წმინდა და მაღალის მოვალეობის აღსრულების დროს

**

უცნაური დამტკიცება სიყვარულისა მოუგონია ტომსკელს გლეხს ციმბირში. იმას უთქვამს: იმის დასამტკიცებლად, რომ მე ჩემი ცოლი მიყვარს, ეხლავე წყალში გადავარდებიო და გადავარდნილა კიდეც. აი როგორ ყოფილა ეს საქმე:

წყლის-პირას, ერთს დუქანში—მოგვითხრობს გაზ. „Сибирскій Вѣст.“-ი, გადაეყრათ ვილაც სალახანაებს და აეგდოთ მასხარად გლეხ-კაცი:

— შენ შენი ცოლი არ გიყვარსო.

— არა, ტყუილია, მიყვარსო, უპასუხნია გლეხს.

— თუ გიყვარს, აბა წყალში გადავარდი და თავი დაირჩეო და მაშინ დაგიჯერებთო.

სწდომიან საწყალს გლეხს და გაუხდიათ ტანისამოსი, რომელშიაც 12 მან. ფული ყოფილა: დამრჩვალს ხომ ტანისამოსი აღარ უნდაო. ბევრსა ჰგონებია, რომ ტიტველა გლეხს შესცივა და გონებაზე მოვაო, მაგრამ იმან მაინც თავის სიტყვას არ უღალატა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. როგორც იყო ამოიყვანეს ეს უცნაური ცოლის მოსიყვარულე გლეხი და სხვაგან წაიყვანეს მოშორებით, რადგან ეშინოდათ, რომ მოწმებად არ დაგვსწრათო. გლეხი მივიდა ხიდთან, გადილაჯა მოაჯირზე და ის იყო უნდა მეორედ გადავარდნილიყო, მაგრამ აქაც მალე დაუშალა თურმე ვილაც კეთილმა კაცმა.

რამდენი ცოლი ინატრებს ამისთანა მოსიყვარულე ქმარს, როგორიც ეს ტომსკელი გლეხი ყოფილა!

## რუსეთი

— პეტერბურგის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ მაისის 18-ს სახელმწიფო საბჭოს სხდომამ განიხილა სამზღვარ-გარედ წამსვლელთა პასპორტებზე ფულის მომატების პროექტი და სრულიად უარ-ჰყო ეს პროექტი, მხოლოდ გადასწყვიტა, რომ ექვსის თთვის ვადით პასპორტის აღებით ხუთის მანათის მაგიერ ერთი თუმანი გამოერთვათო. ეს მომატებული ხუთი მანათიც ინვალიდის ფონდის სასარგებლოდ იქნება შემოღებულიო. ზემოხსენებული გადასახადი გამოერთმევა როგორც მარტო კაცსა, ისე ოჯახობასაო.

— დიდის სიამოვნებით მიუღია რუსეთს ახალი კანონი მთავრობისა, რო-

ძლის ძალითაც რუსეთში მცხოვრებელ გერმანელებს აკრძალეთ მამულების ყიდვა დასავლეთს რუსეთში. თვით გერმანელებს-კი ძალიან უკმაყოფილონი არიან თურმე ამ კანონისა და ამბობენ, რომ ამ გვარა შევიწროება იმ ხალხისა, რომელიც თვით რუსეთის მიერ არის მიწვეული განათლებისა და კულტურის გასავრცელებლად, დიდს ზიანს მოუტანთო. მარტო პეტერბურგში 300,000 კაცია გერმანელიო.

— გადაწყვეტილია, რომ 1888 წ. მოუწოდონ მეცნიერთა და სწავლულთა კრებას პეტერბურგში, რომელმაც უნდა გასინჯოს, თუ როგორ იქმნეს გავრცელებული სატეხნიკო სწავლაო.

— ამ აპრილისა და მაისის განმავლობაში პეტერბურგში საშინელი ქურდობა ყოფილა. ერთის სააქციონერო საზოგადოებიდამ მოუპარავთ 24.000 მანეთი კამერ-იუნკერის ყედრინსკისაგან 12.000 მან. ფასიანი ქაღალდები მოუპარავთ; ბირჟის ამხანაგობას დაუკარგავს 6.000 მან. ვაჭრის სტარიკოვის დუქანი ქურდებს სულ მთლად გაუწმენდიათ. ამას გარდა სხვა-და-სხვა სახლებიდგან მოუპარავთ პალტოები, ქურქები და ვერცხლისა და ოქროს ნივთები, მაგრამ ყველაზე ახირებული ქურდობა ყოფილა ვაჭრის ოდოლინის სადგომში (ზაბალკანის პროს. № 8). იმ დღეს თურმე ეს ვაჭარი თავის ცოლსა მარხავს. როდესაც ცხედარი გაუსვენებიათ სახლიდგან, ყველანი ეკკლესიაში წასულან და სახლი-კი დაუკეტნიათ. ცხედარის დასაფლავების შემდეგაც სასტუმროში წასულან სადილის საჭმელად, ხოლო როცა დაბრუნებულან სახლში, სახლის კარები, შკაფებისა, სკივრებისა და კომოდების კლიტეები სულ დამტვრეული დახვედრიათ და რაც-კი წასაღები რამ ყოფილა, სულ წაღებული. საიდუმლო პოლიციას დიდის გულ-მოდგინებით დაუწყვია ძებნა ქურდებისა, თითქმის ყველა ავაზაკებიც დაუჭერია და დაკარგული ნივთებიც უპოვნია. ამ ნაპოვნ ნივთებთან პოლიციას უპოვნია აგრეთვე სხვების დაკარგული ნივთებიცა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости“-ს, რომ 20 მაისს ქუჩებში მოგროვდა თხუთმეტ ათასამდე კაცი და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს ბულანჟეს!“, „მირს გრევი!“, „განამკვეთ პრუსიელნი!“-ო. პოლიციელთა დიდი წვალებით გაჰფანტეს ხალხი. შიშობენ, რომ კაი თუ გრევის წინააღმდეგ კიდევ რაიმე არეულობა მოხდესო. გერმანიის საელჩოს ოთხივ-კუთხივ დარაჯები აყენია. გაზ. „Figaro“-ს რედაქციასთან ხალხი შეკრბა და რედაქციას მუქარი დაუწყო; გაზ. „Intransigeant“-ს კი დიდის თანაგრძნობით იხსენიებდა ბრბო.

— მოგვყავს „Journal de St.-Petersbourg“ ის აზრი საფრანგეთის ახალად შემდგარს სამინისტროზედ: „ძლივს დაბოლოვდა საფრანგეთის სამინისტრო კრიზისი და შესდგა ახალი სამინისტრო ბ-ნის რუვიეს თავ-მჯდომარეობით. დღეს შეძლებელია სამინისტრო წარსდგეს წინაშე პარლამენტისა და მოახსენოს თავისი აზრი იმაზედ, თუ რა გვარად აქვს განზრახვა იმოქმედოს. ასე რომ ამ დღეებში შევიტყობთ, როგორ მიიღებს პარლამენტი ახალს სამინისტროს, კარგად თუ ავად. ამ ჟამად სამინისტროში თითქმის სულ ოპორტუნისტები არიან, თუმცა ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ახალი სამინისტრო დღეგრძელი იყო და ფეხი მჯიდროდ მოიკიდოს. მემარჯვენე დასის მომხრე წევრნი უეჭველია წინააღმდეგი იქნებიან ყოველისფერში ახალის სამინისტროსი და რაც შეეხება რადიკალებს, თქმა არ უნდა, რომ რადიკალები მოყვრულად არ მოექცევიან ახალს სამინისტროს. შეიძლებენ რუვიე და მისი ამხანაგები ჩააგონონ და დააჯერებინონ პალატას ხელ-ახლად ბიუჯეტის განხილვა? ვიცოცხლებთ, ვნახავთ.“

**იტალია.** პაპა ლეონ მე-XIII-ს გამოუცხადებია ის პირობანი, რომელთ შემწეობითაც სასურველია იტალიასა და ჩემს შორის მორიგება მოხდესო. ლეონ მე-XIII თხოულობს, რომ რომი მე დამითმეთ საკუთრებად, მე მომანდეთ, რომის სასულიეროცა და საერო უფლებაცაო. ყველანი იმ აზრისანი არიან ამ ჟამად იტალიაში, რომ თავის სურვილს პაპა ლეონ მე-XIII შეამცირებსო. მას შემდეგ რაც იტალიის ჯარებმა რომი დაიჭირეს, 1870 წელს, პაპა პიი მე-IX-ს თავი არ დაუნებებია რომისთვის, ვატიკანის კედლებს არ მოჰშორებია და ტუსაღისავით იყო მომწყვდეული ვატიკანში. ეხლა, როგორც ჰსჩანს, ლეონ მე-XIII განუზრახავს მოურიგდეს როგორმე იტალიას. ამბობენ, ვითომ პაპას ერთის გავლენიანის დიპლომატის პირით უკითხავს იტალიის მთავრობისათვის, რომ ჩემის მოწინააღმდეგეთაგან და მტერთაგან დამიცავს თუ არა იტალიაო. მთავრობას, რასაკვირველია, თანხმობა გამოუცხადებია და შეუთვლია: იტალიის მთავრობა ყოველსავე ღონის-ძიებას იხმარებს და ეცდება იტალიის მკვიდრნი დიდის პატივსცემით მოეპყრნენ და ღირსეული თავაზიანობა გაგიწიონო. ასე რომ პაპა ლეონ მე-XIII კვლავ გამოჩნდება რომის ქუჩებზე, რომელზედაც შვიდმეტი წელიწადია ფეხი არ გამოუდგამს.

**ბელგია.** ბრიუსელში მუშათა შორის აშლილობასა და არეულობას ჯერ ბოლო არ მოჰღებია და ამ ბოლოს არც თავი უჩანს ჯერ-ჯერობით; პირ-იქით, გაზეთები ამბობენ, რომ უკმაყოფილოთა რიცხვი თან-და-თან უფრო მატულობს და არეულობა ძლიერდებაო. მთავრობა დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს მეამბოხეთაო. ყველა ბელგიის სავაჭრო ქალაქებში მუშები უკმაყოფილებას აცხადებენ მექარხნეთა წინააღმდეგ, რომელნიც ჯამაგირს უკლებენ მუშებსა. ბრიუსელში იმ აზრისანი არიან, რომ თუ მუშები არ დაწყნარდნენ, არ დამშვიდნენ, ქარხნებში არ დალაგდნენ და მუშაობა არ დაიწყეს, მთავრობა იძულებულ იქმნება ძალ-მომრეობა იხმაროს მათზე და ძალ-მომრეობით დაამშვიდოს მეამბოხენიო.

**სერბია.** გაზ. „Daily News“-ს დეპეშით აუწყებენ ვენიდგან, რომ სერბიის მთავრობამ გამოაცხადა: ბოლგარიიდგან ყველა გადმოსახლებულთ და გადმოხიზნულთ სერბიაში 24 საათში უნდა დასტოვონ ჩვენი მიწა-წყალი იმ წუთიდგან, რაც გამოცემულ იქმნა ეს ბრძანებაო. ეს ბრძანება სერბიის მთავრობისა იმას გამოუწვევია, რომ ეს გადმოსახლებულნი და გადმოხიზნულნი ბოლგარიიდგან სერბიაში სამშობლოს მოღალატენი არიან, აქაც-კი ჰფიქრობენ ბოლგარიის მთავრობას რაიმე ზიანი მოუტანონ და ბოლგარიის წინააღმდეგ მოქმედებენო და სერბიის მთავრობისა და ბოლგარიის მთავრობის შორის-კი დიდი მეგობრობა სუფევს ამ ჟამად და არ შეგვიძლიან ბოლგარიის მოღალატეთ ჩვენს სახელმწიფოში ალაგი მივსცეთ და მფარველობა გავუწიოთო.

## გაზეთობა

**ჩინელების სტუმართ-მოყვარეობა.** ერთს პატარა ჩინეთის სოფელს გის-ი-შიბში მოგროვდნენ თურმე ახლო-მახლო სოფლებიდან გლახები და სულ საწყალი უსაქმო ხალხი ვიდრე 330 კაცამდე. სოფლის მცხოვრებლებს არაფრად ეჭაშნიკათ იმათი სტუმრად მიბძანება მათს სოფელში და გარდასწყვიტეს თურმე, რომ მოვიშოროთ როგორმე ეს დაუპატიჟებელი სტუმრებიო. საღამოზე ეს ხალხი შეიყვანეს თურმე დასაძინებლად ერთს ეკკლესიაში, გამოუკეტეს კარები, წაუკიდეს ცეცხლი ოთხივ-კუთხიდამ და 260 კაცი ცეცხლში ამოწვეს თურმე; დანარჩენს 70 კაცს-კი როგორც იყო თავი გადაურჩენია.

## დეპეშა

26 მაისი

**ვენა.** როგორც კერძოდ ისმის ხმები, ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა დიდს საერო კრებას იმასკი არა სთხოვს, როგორ უნდა იქმნეს მთავარი ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის ამორჩეული, არამედ მხოლოდ ანგარიშს წარუდგენს იმაზედ, თუ რა თვალით უყურებენ ამ ჟამად დიდნი სახელმწიფონი ბოლგარიას, რა შედეგი იქონია ბოლგარიის მთავრობის მოლაპარაკებამ ამ სახელმწიფოებთან და რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ბოლგარიის საქმე.

ხმა დადის, რომ ავსტრიას განზრახვა აქვს რუსეთის სამზღვართან 38 ჟანდარმი კიდევ მიუმატოს ამ სამზღვრის მეთვალყურეთა და დარაჯთა რიცხვსაო.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი, რომელიც ავად იმყოფებოდა, ეხლა კარგად არის და წარსული ღამე კარგად გაატარა.

**სეგედინი.** წყალი თან-და-თან უფრო მატულობს; ვერავითარმა ღონემ ვერ შეაყენა და წინააღმდეგობა ვერაფრით ვერ გაუწიეს მოზღვავებულს წყალსა; თუ წყალმა კიდევ იმატა, ბევრს ქალაქებსა და სოფლებს აუცილებელი დაღუპვა მოელით.

**პეტერბურგის ბირჟა, 26-ს მაისს**

**ფასები:**

| | მყიდველი ფასი | გამყიდველის ფასი | გაყიდული ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 8 98 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 173¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 267¾ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244 |
| გირავნობ. ფურცლნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**28 დღე ხუთშაბათი.** ღირს. ნიკიტასი. კათოლ. გერმანისა და ლუცინასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—33.

**29 დღე პარასკევი.** წმ. ქალწ. მოწ. თეოდოსი. კათოლ. თეოდოსისა და მაქსიმესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 19 დღისაა.

**30 დღე შაბათი.** წმ. ისააკ დალმატელისა. სომეხ. გახსნილება მარხვისა. კათოლ. ფერდინანდისა და ფელიქსესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 20 დღისაა.

**31 დღე კვირა.** წმ. მოციქ. ერმისა და მოწ. ფილოსოფოსისა. ალების ღამე პეტრე-პავლეს მარხვისა. მარხვაა ოთხი კვირა. სომეხ. ნახატონაქი. ფრანგთა. ყოვლად წმ. სამების დღესასწაული. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვალება იმამის აბუთალიბასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

16 მაისიდამ 1 თიბათვემდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ › |
| › 2 › | 2 › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2 — | 3 › |
| › › 3 › | 2½ › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ › |
| მე-3 — . . . | › › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 › |
| › 2 › | 7 › |
| სუკი. . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › › |
| › 2 › | › › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, აწყრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ქალაქ ბათუმში

ვაგზალის მახლობლად ახლად გაკეთებული მებლიროვანი ოთახები

**„ვენეცია“**

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ 1½ მანათამდე თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა

(10—6)

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

**ძმათა ასლანიდებისა.**

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის ვაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს ვაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ ვაჭართ იმდენი დავუთმობათ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—17)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჰილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.


Дозв. цен. Тиф. 27 мая, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე